№ 34.932

Date 08.08.2022

RMG COPPER

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
09 08 2022 წ.
№ 3905

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ სს „RMG Copper"-ს დაგეგმილი აქვს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი არსებული ფაბრიკის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი კუდების მართვის მიზნით ახალი კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სს „RMG Copper"-მა 2022 წლის 2 თებერვალს მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის განცხადებით. 2022 წლის 18 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N 2-301 ბრძანებით გაცემული იქნა სკოპინგის დასკვნა N15 (4.04.2022). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 18 აპრილს N 2-301 ბრძანებისა და N15 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში."

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე - 10 და მე - 11 მუხლების შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს."

წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემთხვევაში, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 46-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე მიზანშეწონილია ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის N 2-626 და 2020 წლის 13 ნოემბრის N2-1051 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ ბრძანებები და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 ნოემბრის N 2-1094 და 2018 წლის 16 ნოემბრის 2-926 სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ ბრძანებები. ამასთან, ვინაიდან წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიში ითვალისწინებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ რამდენიმე საქმიანობას, მათ შორის გზშ-ის სფეროში ზემოაღნიშნულ (მოქმედი) აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომელიც ერთმანეთთან ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, მიზანშეწონილია გაიცეს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სს RMG Copper, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
JSC RMG Copper, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად გთხოვთ გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული დანართი დოკუმენტაცია.

დანართები:

1. „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში" – 1 (ერთი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD);
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების პროექტი - 2 (ორი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD);
3. ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტი - 2 (ორი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD);
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) - CD დისკი 1 ცალი;
5. არატექნიკური რეზიუმე - 1 (ერთი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD);
6. ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები - 1 ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD) shp ფაილით;
7. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
8. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 1 (ერთი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;

პატივისცემით,

თორნიკე ლიპარტია
აღმასრულებელი დირექტორი

JSC RMG Copper, GEORGIA
RMG COPPER
* 225358341 *